ხელშეკრულება №02-01/78
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ერთი მხრივ, ა(ა)იპ „ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანება“ შემდგომში -„შემსყიდველი“, წარმოდგენილი მისი დირექტორის დავით დიასამიძის სახით და მეორე მხრივ, შ.პ.ს. პროვაიდერ.ჯი - Provider.Ge შემდგომში „მიმწოდებელი”, წარმოდგენილი მისი დირექტორის - სალომე კიკვაძის სახით, გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანების მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს **ხელთათმანები - (CPV-18424000)** (შემდგომში - „შესყიდვის ობიექტი“);

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **9`860.00** (ცხრაათას რვაასსამოცი) ლარს;

N	საქონლის დასახელება	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ფასი (ლარი)
1	რეზინის ხელთათმანი	წყვილი	5800	1.7	9860

2.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს, როგორც მისაწოდებელი შესყიდვის ობიექტის ღირებულებას, ასევე, ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით „მიმწოდებლის“ მიერ გაწეულ ყველა ხარჯს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში (ლარი).

3.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ განხორციელდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის სრულად მიწოდების შემდეგ, საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა, ადგილი და ფორმა

5.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება:

ა) ხელშეკრულების დადებიდან 7 (შვიდი) სამუშაო დღეში;

ბ) ერთჯერადად – ა(ა)იპ ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანების ადმინისტრაციულ შენობასა და ბაღების მისამართებზე დანართი N1 შესაბამისად;

5.2 კონკრეტულ საბავშვო ბაღებში მისაწოდებელი საქონლის კონკრეტული რაოდენობა განისაზღვრება შემსყიდველის მიერ ელექტრონული ფოსტის საშუალებით გაგზავნილი შეკვეთის შესაბამისად;

5.3 საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს სამუშაო საათებში;

5.4 მიმწოდებელი ვალდებულია მიწოდების დროს საქონელი განათავსოს საბავშვო ბაღის წარმომდგენლის მიერ მითითებულ ადგილზე;

6. მხარეთა უფლება-მოვალეობები

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

6.1.1. ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

6.1.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების დასრულებამდე გამოითხოვოს მიმწოდებლისგან მიწოდებულ შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებული მისთვის საჭირო დოკუმენტი.

6.2. შემსყიდველი ვალდებულია:

6.2.1. მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
6.2.2. უზრუნველყოს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის მიღება.
6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია:
6.3.1 მიმწოდებელს უფლება აქვს მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
6.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
6.4.1. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.
6.4.2. მიაწოდოს შესყიდვის ობიექტი სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით, იმ ვადაში, რომელიც განსაზღვრულია ამ ხელშეკრულებით.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1 ხელშეკრულების შესრულების კონტროლი გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ხარისხის კონტროლს.
7.2 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს უფროსი სპეციალისტი სამეურნეო დარგში – ნატო ჯიჯავაძე;
7.3 ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელება შესაძლებელია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე.
7.4 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელებისათვის აუცილებელი პერსონალის და ტექნიკური საშუალებების გამოყოფა, ასევე უზრუნველყოს საჭირო სამუშაო პირობები . იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაცია ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს , მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვითონ შემსყიდველი ორგანიზაცია თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ყველა გამოვლენილი ნაკლოვანების აღმოფხვრასთან და კონტროლის ხელახლა განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
8.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით.

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1 მხარეებს, ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი შესრულებისათვის, მათ შორის, ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილების შემთხვევაში დაეკისრება პირგასამტეხლო, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 0.02%-ის ოდენობით;
9.2 მხარეს, ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში დაეკისრება პირგასამტეხლო, შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 10%-ის ოდენობით;
9.3 მხარეს, ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის დაეკისრება პირგასამტეხლო, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 20%-ის ოდენობით;
9.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან;

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, მხოლოდ ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.
10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
10.3 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1 წინამდებარე ხელშკრულება შეიძლება ვადამდე შეწყდეს:

ა) ორმხრივი წერილობითი შეთანხმებით ნებისმიერ დროს;

ბ) ნებისმიერი მხარის ინიციატივით, ცალმხრივად თუ მეორე მხარე არ ასრულებს ან არა ჯეროვნად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, რის თაობაზეც მას წერილობით მიეცა გაფრთხილება და დარღვევის გამოსასწორებლად განესაზღვრა გონივრული ვადა.

11.2 შემსყიდველის ინიციატივით ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთვევაში, მიმწოდებელს უფლება არ აქვს მოითხოვოს მიუღებელი შემოსავლისა ან/და ზიანის ანაზღაურება.

12. დავების გადაწყვეტა

12.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის წარმოშობილი ყველა დავა უნდა გადაიჭრას ურთიერთმოლაპარაკების გზით ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13. დაუძლეველი ძალა

13.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

13.2 თუ ერთ–ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედებს დასრულებისთანავე.

13.3. თუ დაუძლეველი ძალის მოქმედება გრძელდება 30 დღეზე მეტ ხანს, მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელშეკრულების კვალიფიციური ელეტრონული ხელმოწერით ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპით დამოწმებისთანავე და მოქმედებს 2023 წლის 31 აგვისტომდე;

15. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:
ა(ა)იპ „ბათუმის საბავშო ბაღების გაერთიანება“
მის: ქ. ბათუმი, პ. მელიქიშვილის ქ N81
საიდენტიფიკაცო კოდი: 445 393 510
სახელმწიფო ხაზინა
TRESGE22
ა/ნ 740737005

მიმწოდებლი:
შ.პ.ს. პროვაიდერ.ჯი - Provider.Ge
მის: ქ.ბათუმი, ერისთავის ჩიხი 1 N5
საიდენტიფიკაცო კოდი: 445 427 119
პროკრედიტ ბანკი
ბანკის კოდი: MIBGGE22
ა/ნ: GE13PC0193600100011836
Email: provider.ge@gmail.com
მობ: 571 333222

დავით დიასამიძე

Salome Kikvadze 61001050902
Digitally signed by Salome Kikvadze
Date: 2023.05.19 15:46:50

დანართი N1 - მისამართები

საბავშვო ბაღი	მისამართი
N1	ქ. ბათუმი, ზ. გორგილაძის ქ N25
N2	ქ. ბათუმი, ვ. ფშაველას ქ N5
N3	ქ. ბათუმი, ვ. გორგასლის ქ. N51
N4	ქ. ბათუმი, პ. მელიქიშვილის ქ. N8
N5	ქ. ბათუმი, გ. მაზნიაშვილის ქ. N28
N6	ქ. ბათუმი, შ. ინასარიძის ქ. N22 ა
N7	ქ. ბათუმი, დ. აღმაშენებლის ქ. N17
N8	ქ. ბათუმი, შ. ინასარიძის ქ. N4 ა
N9	ქ. ბათუმი, ნ. ფიროსმანის ქ. N9
N10	ქ. ბათუმი, დ. აღმაშენებლის ქ. N14
N11	ქ. ბათუმი, დ. აღმაშენებლის ქ. N5
N12	ქ. ბათუმი, ა. წერთლის ქ. N30
N14	ქ. ბათუმი, ვ. ფშავალას ქ. N83
N15	ქ. ბათუმი, ი. ჭავჭავაძის ქ. N65
N16	ქ. ბათუმი, ა. პუშკინის ქ. N113
N17	ქ. ბათუმი, პ. მელიქიშვილის ქ. N104
N18	ქ. ბათუმი, ვ. მაიაკოვსკის ქ. N3
N19	ქ. ბათუმი, სვიშევსკი ქ. N1
N21	ქ. ბათუმი , მ. ლერმონტოვისა ქN96
N22	ქ. ბათუმი, თამარ მეფის გამზ. I შეს. N4
N23	ქ. ბათუმი, სამრეწველო უბანი, ფ.ხალვაშის გამზირი N281
N24	ქ. ბათუმი, სამრეწველო უბანი, ფ.ხალვაშის გამზირი N318
N25	ქ. ბათუმი, კახაბრის უბანი, ფ.ხალვაშის გამზირი N102
N26	ქ. ბათუმი, მწვანე კონცხის უბანი იბერიის ქ. N2
N27	ქ. ბათუმი , მ. ლერმონტოვისა და ს. ხიმშიაშვილის ქუჩების მიმდებარედ
N28	ქ. ბათუმი, ადლიის დასახლება, კოტე აფხაზის ქ N4
N29	ქ. ბათუმი, გონიოს დასახლება, პეტრე იბერის ქN1
N30	ქ. ბათუმი, ბარცხანის დასახლება, ი. ნონეშვილის ქ N 60
N32	ქ. ბათუმი, კახაბრის დასახლება, ფრიდონ ხალვაშის XII ჩიხი
N34	ქ. ბათუმი, თამარის დასახლება, ც. დადიანის ქN14

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად ხელის მოწერით ვადასტურებ, რომ ა(ა)იპ ბათუმის საბავშვო ბაღების გაერთიანების მიერ ხელთათმანების შესყიდვის მიზნით, შ.პ.ს. „პროვაიდერ.ჯი - Provider.Ge“-თან 2023 წლის 19 მაისს დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N02-01/78 ხელშეკრულების ზედამხედველობის პროცესში ჩემი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

დირექტორი - დავით დიასამიძე